შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/78

თბილისი **“ 10 “ ოქტომბერი 2016 წ.**

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016 წლის 17 ოქტომბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად კონკურსის შედეგების დამტკიცების დღიდან.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 07 დეკემბერს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (08, 09, 12 დეკემბერი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2016 წლის 13 დეკემბერს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 3 აკადემიური პერსონალი **- 3 ასოცირებული პროფესორი.**

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

<u>ბიზნესის მართვის კათედრა</u>

1 ასოცირებული პროფესორი

<u>ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა</u>

1 ასოცირებული პროფესორი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

<u>საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა</u>

1 ასოცირებული პროფესორი

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnusx. – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები(საბაკალავრო, სამაგისტრო)

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი გიორგი მათიაშვილი